# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №73

ქ. თბილისი 2023 წელი

ერთი მხრივ, **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო** (ს/კ 249250484) (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი აპარატის უფროსის **ზურაბ მებონიას** სახით და მეორე მხრივ, **შპს „საჩუქრები 95"** (ს/კ 203826654) (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **სერგო გეგეჭკორის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 ქვეპუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **CPV კოდი - 18530000 – „საჩუქრები და ჯილდოები"** -ს შესყიდვა.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **199.00 (ას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.

2.2. შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი, რაოდენობა და მახასითებლები მითითებულია დანართ N1-ში.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და შესაბამისი ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული დოკუმენტების გაფორმების შემდეგ.

## 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.N26.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2023 წლის 17 ივნისამდე.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის ჯგუფი.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისამებრ განახორციელოს საქონლის მიწოდება. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართო თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სსსკ-ის 268-ე მუხლის $1^1$ ნაწილის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო | შპს „საჩუქრები 95“ |
| მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას N16 | მის.: ქ.თბილისი,რუსთაველის გამზ.N26 |
| საიდენტიფიკაციო კოდი 249250484 | საიდენტიფიკაციო კოდი 203826654 |
| სახელმწიფო ხაზინა | სს „საქართველოს ბანკი“ |
| ბანკის კოდი: TRESGE22 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ხაზინის ერთიანი ანგარიში | ა/ა № GE84BG0000000346237500 |
| ტელ: 2376467 | ტელ: 598 579 579 |
| აპარატის უფროსი | დირექტორი |
| ზურაბ მებონია | სერგო გეგეჭკორი |

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2023.06.07 15:11:52 +04'00'

Sergo Gegetchkori 01024009326

Digitally signed by Sergo Gegetchkori
Date: 2023.06.07 17:49:29

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №73

**დანართი N1**

| № | CPV კოდი | დასახელება | მახასიათებელი | საზომი ერთ. | რ-ბა | ერთ. ფასი | ღირ-ბა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 18530000 | საჩუქრები და ჯილდოები | ხანჯალი მელქიორის,ორნამენტებით | ცალი | 2 | 65.00 | 65.00 |
| 2 | 18530000 | საჩუქრები და ჯილდოები | ხანჯალი | ცალი | 1 | 45.00 | 45.00 |
| 3 | 18530000 | საჩუქრები და ჯილდოები | თასი | ცალი | 1 | 24.00 | 24.00 |
| | | | | | | | სულ: 199.00 ლარი |

შემსყიდველი:

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას N16
საიდენტიფიკაციო კოდი 249250484
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ტელ: 2376467

მიმწოდებელი:

შპს „საჩუქრები 95“
მის.: ქ.თბილისი,რუსთაველის გამზ.N26
საიდენტიფიკაციო კოდი 203826654
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა № GE84BG0000000346237500
ტელ: 598 579 579

აპარატის უფროსი
ზურაბ მებონია

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2023.06.07 15:12:09 +04'00'

დირექტორი
სერგო გეგეჭკორი

Sergo Gegetchkori 01024009326

Digitally signed by Sergo Gegetchkori
Date: 2023.06.07 17:51:34